დანართი №1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
შპს არსის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“
პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: შორენა ხუბუნაია
წევრი: თათია გივიშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: _____

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **არსი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **216427999**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ☐ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: _____

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის N 773328 ბრძანების (28.06.2024წ.) საფუძველზე შექმნილმა ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა ვიზიტის დღის წესრიგი და მიმდინარე წლის 06 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი შპს არსში (მის: ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქ. №12) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადისა და მასზე თანდართული დოკუმენტაციის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის, პროგრამის სპეციფიკისა და დაწესებულების რესურსების გათვალისწინებით, შესწავლის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა დაწესებულების დირექტორთან, ჩატარდა გასაუბრება კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ პროფესიულ სტუდენტებთან. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ახალი პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფს მიეწოდა ცენტრის 2024 წლის 13 აგვისტოს MES 2 24 0000970032 კორესპოდენციით. დაწესებულება იზიარებს ექპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს და გაითვალისწინებს საქმიანობაში.

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
საექთნო საქმე	66	48	10	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არა

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, ასახოთ **ყველა ხარვეზი** (სტანდარტის შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.*
არა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.
არა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ბ. გთხოვთ, ასახოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებას მიეცა II სტანდარტთან მიმართებით, განსავითარებლად და პროცესების უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად, შესაძლებლობის შემთხვევაში სტანდარტის ინდიკატორის მითითებით.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, *თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ გადახედოს არსებული კოოპერაციული ხელშეკრულების ნიმუშს და მოიყვანოს შესაბამისობაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნებთან; 2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშაოს კოოპერაციული სწავლების პროცესში ჩართული სუბიექტის შეფასების წესი, განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და გამოიყენოს პრაქტიკაში.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, *თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.*

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, *თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებას უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეში „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ ცნობის განთავსება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

არა

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: _____

პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ. რუსთავი, აფხაზეთის ქ.12
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	კოოპერაციული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	132
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	48
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	132
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

იმ შემთხვევაში, თუ არ ეთანხმებით დაწესებულების მიერ მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, გთხოვთ, დაასაბუთოთ:

.....

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ექსპერტთა ჯგუფის მიერ დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასაც და კლინიკური სწავლების პროცესში პარტნიორი დაწესებულებების ბაზაზე. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით. პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულებაში გამოყოფილია ერთი A, ერთი AC და ერთი B გარემო, მათ შორის: A სასწავლო გარემოში განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 22 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის 1 სამუშაო ადგილი. AC სასწავლო გარემოში განთავსებულია პროფესიული სტუდენტის 22 სამუშაო ადგილი, პროგრამის განმახორციელებელი პირის 1 სამუშაო ადგილი. ამავე აუდიტორიაში განთავსებულია პროგრამით გათვალისწინებული შესაბამისი რესურსი. B სასწავლო გარემო, სადაც განთვასებულია პროფესიული სტუდენტის 11 სამუშაო ადგილი და 11 კომპიუტერის კომპლექტი, ამავე სასწავლო გარემოში განთავსებულია 1 სამუშაო ადგილი და 1 კომპიუტერის კომპლექტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის.

დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს 132-ს, რომელსაც გადაანაწილებს 3 წლის მიღებაზე, თითო წელს 44 პროფესიული სტუდენტი. დაწესებულებას მოუწევს ჯგუფების გაყოფა საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდულის განხორციელებისთვის, ვინაიდან B სასწავლო გარემოში სულ 11 სამუშაო ადგილია. A და AC სასწავლო გარემოში ორ ცვლაში სწავლებით შესაძლებელია 88 პროფესიული სტუდენტის სწავლება (პირველი და მეორე წლის ჩარიცხვა), ხოლო მესამე წლის ჩარიცხვა სასწავლო პროცესს გააგრძელებს კლინიკების ბაზაზე, მათ შორის კოლეჯმა პროფესიულ სტუდენტთა კვოტის გაზრდის მიზნით 3 კლინიკასთან (სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო“ (ხელშ. 13.05.2024); სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“ (ხელშ. 06.06.2024); სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“ (07.06.2024)) გააფორმა ახალი ხელშეკრულება, ხოლო ორ კლინიკასთან (შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 23.02.2023 წ.); შპს „კლინიკა რუსთავი“ (ხელშ.28.02.2023წ.)) გაფორმებულ ხელშეკრულებაში შეიტანა ცვლილებები და გაზარდა პრაქტიკის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ობიექტზე დასაშვებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ზემოაღნიშნულის მიხედვით, კოლეჯს სულ გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებთან:

- შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 23.02.2023 წ.);
- შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 23.02.2023 წ.);
- შპს „კლინიკა რუსთავი“(28.02.2023 წ. ხელშ.);
- შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება“ (ხელშ. 06.03.2023 წ.);
- შპს „ჯეო ჰოსპიტალი“ (ხელშ. 30.03.2023 წ);
- სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო“ (ხელშ. 13.05.2024);
- სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“ (ხელშ. 06.06.2024);
- სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“ (ხელშ. 07.06.2024).

ხელშეკრულების თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული კლინიკები ადასტურებენ მოდულის შესაბამისი აქტივობების განხორციელების საშუალებას შესაბამის განყოფილებებში, ყველა კლინიკამ წარმოადგინა მარეგულირების მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ უფლებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კლინიკური მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე. ამ მოდულების გავლისთვის საჭირო ინვეტარს, აღჭურვილობას კლინიკა უზრუნველყოფს. კერძოდ:

- **შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 23.02.2023 წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 28 სტუდენტზე, 2024 წლის 15 მაისს გაფორმებულია ხელშეკრულებაში ცვლილებები და პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ჯამური ოდენობა შეადეგნს 35, განსაზღვრულია 5 ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:**
    1. „კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“;
    2. „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია“.
- **შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან “ (ხელშ.23.02.2023წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 14 სტუდენტზე, განსაზღვრულია 2 ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: _____

1. „კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია“;
2. „შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-ფსიქიკური ჯანმთელობა და ფსიქიატრია“.

- **შპს „კლინიკა რუსთავი“ (ხელშ.28.02.2023წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 14 სტუდენტზე, 2024 წლის 15 მაისს გაფორმებულია ხელშეკრულებაში ცვლილებები და პრაქტიკის ობიექტზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ჯამური ოდენობა შეადეგნს 28-ს, განსაზღვრულია 4 ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:**

1. კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო;
3. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
4. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
5. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
6. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
7. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
8. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
9. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
10. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
11. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
12. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
13. ავადმყოფის მოვლა.

- **შპს „ა(ა)იპ ჰოსპის ფერიცვალება (ხელშ.06.03.2023წ.) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 20 სტუდენტზე, განსაზღვრულია 2 ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:**

1. შინმოვლა;

- **შპს „ჯეო ჰოსპიტალი“ (ხელშ. 30.03.2023 წ) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 14 სტუდენტზე, განსაზღვრულია 2**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:

1. ავადმყოფის მოვლა'
2. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა;
3. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო;
4. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
5. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
6. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
7. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
8. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
9. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
10. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
11. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
12. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
13. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა.

- **სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო" (ხელშ. 13.05.2024) ხელშეკრულება გაფორმებულია (2 წლის ვადით) 14 სტუდენტზე, განსაზღვრულია 2 ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:**

1. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები.

- **სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო" (07.06.2024) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 28 სტუდენტზე, განსაზღვრულია 4 ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:**

1. ავადმყოფის მოვლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

2. კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექრთნო მართვა;
3. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-გადაუდებელი პაციენტის საექთნო;
4. კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
5. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექრთნო მართვა;
6. კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
7. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა-თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა;
8. კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
9. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექრთნო მართვა;
10. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები;
11. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები.

- **სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“ (ხელშ. 06.06.2024) ხელშეკრულება გაფორმებულია (6 წლის ვადით) 14 სტუდენტზე, განსაზღვრულია 2 ინსტრუქტორი, რომელთა პირადი საქმეები შეფასებულია ექსპერტთა მიერ, ხელშეკრულების ფარგლებში პროფესიული სტუდენტები გაივლიან შემდეგ მოდულს:**
  1. კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის მართვა;
  2. შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა;
  3. კლინიკური პრაქტიკა - პედიატრიული და მოზარდები - (პირველი სწავლის შედეგი).

დაწესებულებაში მოწყობილი არის AC გარემო, სადაც განთავსებულია პრაქტიკული მოდულების - **ავად მოვლის** და **შინმოვლის** სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ინვენტარი: ფუნქციური საწოლით, მანეკენი, მენჯის მულაჟი (ქალისა და კაცის გენიტალიები, შარდსადენი, ნაწლავის სტომის სიმულაციის შესაძლებლობა), ШМ პირის ეტლი, ქირურგიული ინსტრუმენტებით და სხვა შესაბამისი აღჭურვილობა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნული მოდულების განხორციელების მიზნით კოლეჯს ხელშეკრულება გაფორმებული აქვთ კლინიკა რუსთავსა და ჯეო ჰოსპიტალთან. ზემოაღნიშნულის მიხედვით, მოდულების - **ავად მოვლის** და **შინმოვლის** განხორციელება შესაძლებელია როგორც პრაქტიკის ობიექტზე, ისე დაწესებულების ბაზაზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: _____

წარმოდგენილი დოკუმენტაციით (კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები), დაწესებულების წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, განმახორციელებელ პირებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურებისა და საკმარისი რესურსებით, დაცულია პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებაში ჩართულ პირთა და პროფესიულ სტუდენტთა თანაფარდობა 1/7.

დაწესებულების მიერ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გაზრდის მიზნით დამატებული სამი პარტნიორი დაწესებულებიდან ექსპერტთა ჯგუფის გასაუბრება დისტანციურად შედგა სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“ (ხელშ. 07.06.2024) - ს წარმომადგენელთან, ხოლო ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტი განახორციელა კლინიკაში - სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“ (ხელშ. 06.06.2024); დათვალიერთა კლინიკის ბაზა, შეფასდა კოლეჯსა და კლინიკას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების სწავლების შესაძლებლობა, შედგა ინტერვიურება პოტენციურ ინსტრუქტორთან. კლინიკები მზად არიან კოლეჯის პროფესიული სტუდენტების მისაღებად.

დაწესებულებაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია ცვლაში სწავლების პრინციპით და სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში კოლეჯში დარეგულირებულია სასწავლო პროცესის 21:00 საათამდე მიმდინარეობის შესაძლებლობა. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა როგორც პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობისა და მათი მზაობის შეფასებით, ასევე დაწესებულების ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისობითა და პროფესიულ სტუდენტთა ყველა ჯგუფისთვის ადმინისტრაციული სერვისებით სრულად სარგებლობის შესაძლებლობით, რის დასტურადაც დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ცვლაში მუშაობის განრიგზე თანხმობის ხელმოწერილი ფორმა, რის მიხედვითაც დასტურდება საღამოს საათებში პროფესიული სტუდენტებისთვის თითქმის ყველა ადმინისტრაციული სერვისით სარგებლობის შესაძლებლობა. ზემოაღნიშნული ასევე გადამოწმდა პერსონალთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურებისას.

დაწესებულების ბაზაზე პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისას არსებული ნარჩენების მართვის მიზნით, კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული კომპანიასთან შპს „ეკომედი“ და იყენებს პრაქტიკაში, რაც დასტურდება მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

პრაქტიკის ობიექტებთან კოოპერაციული სწავლების მიზნით გასაფორმებელი ხელშეკრულების შინაარსი შესაბამისობაში უნდა იყოს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილებასთან, კერძოდ ხელშეკრულებაში განსაზღვრული უნდა იყოს ა) პრაქტიკის ობიექტისა და დაწესებულების საიდენტიფიკაციო მონაცემები; ბ) პროგრამის სახელწოდება (ქართულ და ინგლისურ ენებზე), რომლის ფარგლებშიც ხორციელდება თანამშრომლობა; გ) პრაქტიკის ობიექტისა და პროგრამის განხორციელების ადგილის მისამართები; დ) პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების განაწილება დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტის შორის; ე) პროგრამაზე ერთობლივად მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა; ვ) პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემის აღწერას, მათ შორის, ინფორმაცია შუალედური შეფასებისა და საკვალიფიკაციო გამოცდის შესახებ; ზ) პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკის ობიექტზე/დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის გამოცხადების შესაძლებლობას და მის ჩართულობას აღნიშნულ პროცესებში, ასევე აღნიშნულ პროცესებში მისი ჩართულობის უზრუნველყოფის მექანიზმებს (გეოგრაფიული მდებარეობა, ტრანსპორტირება და სხვა); თ) პრაქტიკის ობიექტის ვალდებულებებს პროფესიული სტუდენტის სწავლის/სამუშაოს შესრულების პერიოდში შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის უზრუნველყოფისა და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნის შესახებ; ი) ხელშეკრულების ვადას, რომელიც არ უნდა იყოს პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები; კ) ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და პროცედურები, მათ შორის ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე წინასწარი ინფორმირების მექანიზმები. ზემოაღნიშნულის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ გადახედოს არსებული კოოპერაციული ხელშეკრულების ნიმუშს და მოიყვანოს შესაბამისობაში ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნებთან.

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილება ასევე განსაზღვრავს საგანმანათლებლო დაწესებულებისა და კოოპერაციულ სწავლებაში ჩართული ობიექტის თანამშრომლობის პრინციპებს, კერძოდ დადგენილების მე-5 მუხლის მიხედვით „დაწესებულებასთან ერთად პროგრამის კოოპერაციული სწავლების სახით განხორციელების მიზნით, მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: ა) აცნობიერებდეს პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის მნიშვნელობას და საკუთარ, როგორც საგანმანათლებლო მომსახურების მიმწოდებლის პასუხისმგებლობას და ჰქონდეს პროგრამის განხორციელებაში ჩართვის მოტივაცია; ბ) მისი ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისობაში უნდა იყოს პროგრამის მოთხოვნებსა და სწავლის შედეგებთან; გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ლიცენზიას/ნებართვას ან სხვა სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მოპოვებული ჰქონდეს ლიცენზია/ნებართვა ან სპეციალური რეგულირებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება. დაწესებულება უფლებამოსილია, დაადგინოს დამატებითი კრიტერიუმები, რომელთაც კოოპერაციულ სწავლებაში ჩართვის მიზნით უნდა აკმაყოფილებდეს მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირი. დაწესებულება ვალდებულია, დაადგინოს მეწარმე სუბიექტს/იურიდიულ პირის მიერ ამ მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შეფასების წესი.“

ზემოაღნიშნულის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა დაწესებულებამ შეიმუშაოს კოოპერაციული სწავლების პროცესში ჩართული სუბიექტის შეფასების წესი, განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და გამოიყენოს პრაქტიკაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ***თუმცა რეკომენდებულია: 1. დაწესებულებამ გადახედოს არსებული კოოპერაციული ხელშეკრულების ნიმუშს და მოიყვანოს შესაბამისობაში „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნებთან; 2. „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით განხორციელების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველო მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს დამტკიცებული N416 დადგენილების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულებამ შეიმუშაოს კოოპერაციული სწავლების პროცესში ჩართული სუბიექტის შეფასების წესი, განსაზღვროს შეფასების კრიტერიუმები და გამოიყენოს პრაქტიკაში.***

2. საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო განათლება“ განხორციელებაში ჩართულია 24 პროფესიული განათლები მასწავლებელი, მათ შორის 7 ახორციელებს ზოგად მოდულებს, ხოლო 17 პროფესიული განათლების მასწავლებელი. კლინიკური სწავლების მიზნებისათვის დაწესებულების მიერ განსაზღვრულია 23 მენტორი. პროფესიული განათლების მასწავლებელთა უმეტესობა სხვადასხვა პროფილის მოქმედი ექიმია, ხოლო 6 მოქმედი ექთანი და თეორიულ მოდულებს განახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიონალი. თითოეული მათგანი შერჩეულია შესაბამისი კვალიფიკაციის მიხედვით. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პერსონალის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეისწავლა იმ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა, რომლებიც ასევე ახორციელებდნენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

სწავლებას ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობის, პროგრამის სასწავლო გეგმისა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების (ხელშეკრულებაში მოცემულია ჩანაწერი, საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის თაობაზე) შინაარსის მიხედვით, მასწავლებელთა დატვირთვა უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას და ითვალისწინებს საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნებს.

პროფესიული განათლების მასწავლებელთა და მენტორთა რაოდენობის გათვალისწინებით, დაწესებულებამ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდისთვის დამატებით აიყვანა 4 პროფესიული განათლების მასწავლებელი (რეავტორიზაციის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა სულ 20 პროფესიული მასწავლებელი) და 14 მენტორი (რეავტორიზაციის პერიოდში დაწესებულებას ჰყავდა სულ 9 მენტორი).

რეავტორიზაციის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია დაწესებულემას შეემუშავებინა პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული იქნებოდა ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა, და გამოეყენებინა საქმიანობაში, თუმცა კოლეჯში აღნიშნული მექანიზმები დანერგილი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, ***თუმცა რეკომენდებულია კოლეჯმა შეიმუშავოს პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის სქემა, სადაც მოდულით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა, გათვალისწინებული ისეთი აქტივობები, როგორიცაა: სასწავლო პროცესისათვის მომზადება, შეფასების ინსტრუმენტების მომზადება, დამატებითი განმსაზღვრელი შეფასების ჩატარება, სტუდენტთა კონსულტირება, სამუშაო ჯგუფებსა და კომისიების მუშაობაში ჩართულობა, ხარისხის უზრუნველყოფის ღონისძიებებში მონაწილეობა და სხვა.***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

3. დაწესებულების შინაგანაწესით დამტკიცებულია პროფესიული განათლების მასწავლებლისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომლის მიხედვით პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მფლობელი, ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

ექსპერტთა მიერ გამოთხოვილი იქნა პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები/სერტიფიკატები ან/და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები, რომელთა საფუძველზეც დასტურდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგები მიღწევის შესაძლებლობას. *აღსანიშნავია, რომ ცალკეული პერსონალის პირად საქმეში არ იყო ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“.* აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ზემოაღნიშნული ცნობის რეკომენდაცია რეავტორიზაციის ფარგლებშიც მიეცა, თუმცა ექსპერთა ჯგუფის მოცემული ვიზიტის ფარგლებში სრულად შესრულებული არ იყო.

ვიზიტის პერიოდში განხორციელდა მოდულების განმახორციელებელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ინტერვიურება. სულ ინტერვიურება განხორციელდა პროფესიული განათლების 4 მასწავლებელთან, მათ შორის 2 პირი ჩაერთო დისტანციურად. ექსპერტთა ჯგუფმა დასვა კითხვები სწავლების მიმდინარეობის, მათი დატვირთვისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურობასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. პროფესიული განათლების მასწავლებლები ახორციელებენ სასწავლო პროცესს მუდულის მოთხოვნათა შესაბამისად, გავლილი აქვთ ტრენინგები სწავლებისა და შეფასების საკითხებთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, ***თუმცა რეკომენდებულია დაწესებულებას უზრუნველყოს პერსონალის პირად საქმეში „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ“ ცნობის განთავსება კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად.***

4. დაწესებულების წესდებით დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს ინფორმაციას პროგრამის ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნის შესახებ. კერძოდ, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე - კვალიფიკაციის და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის - **„საექთნო საქმე“** ხელმძღვანელი კავლიფიკაციით არის ბებიაქალი და აქვს ექთნად მუშაობის ორწლიანი დადასტურებული სამუშაო გამოცდილება, რის დასტურადაც წარმოდგენილია ცნობა სამუშაო გამოცდილების შესახებ. პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს რამდენიმე პროფესიულ მოდულს.

პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და მასთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც ასახულია მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია - მოვალეობები. პროგრამის ხელმძღვანელისა და მისი, როგორც მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა ყოველკვირეულად არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს, რაც დაცულია წარმოდგენილი მტკიცებულებებით (დამტკიცებული საათობრივი დატვირთვა; ცხრილები).

ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიურებისას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა მისი ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მიერ განსაზღვრულ საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგობრივი კომპეტენცია და ჩართულია პროფესიული მოდულების განხორციელების პროცესში.

5. დაწესებულებაში ცალკე არის გამოყოფილი ბიბლიოთეკის სივრცე (სამკითხველოთი), სადაც კომპიუტერებში ჩატვირთულია საგანმანათლებლო პროგრამაში / მოდულებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/ დასკანერება.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული ყველა საგანმანათლებლო რესურსი (როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საბიბლიოთეკო რესურსის გადამოწმებისა და ინტერვიუირებით (ბიბლიოთეკარის მოვალეობის შემსრულებელი, პროფესიული სტუდენტები, განმახორციელებლები) დადასტურებულია, რომ პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გათვალისწინებულია სსსმ პირთათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ მათ ჰქონდეთ წვდომა პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია მოხდეს მათი ადაპტირება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელში გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (მათ შორის სსსმ პირთათვის) შემუშავების პროცედურა.

თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შშმ/სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო მასალის ადაპტირება (მოდიფიკაცია, აკომოდაცია), ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის დახმარებით წარმოადგენს პროფესიულ განათლების მასწავლებლის მოვალეობას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

დაწესებულებას შშმ პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლია და მსგავსი გამოცდილებაც არ გააჩნია. კოლეჯს არ ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალიტი, თუმცა, რეგულაციით განსაზღვრულია, რომ შესაბამისი საჭიროების დადგომისთანავე დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის/ასისტენტის სასწავლო პროცესში ჩართულობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - **საექთნო საქმე** განხორციელებისათვის წარმოდგენილია პროგრამის ბიუჯეტი, რომელიც ითვალისწინებს შემოსავლებსა და ხარჯებს. ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამაზე რენტაბელობის ზღვარი არის 15 პროფესიული სტუდენტი, ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 22-ს, წელიწადში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს შეადეგნს 44-ს, ხოლო პროგრამისათვის მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობა შეადგენს 132-ს. ამ ეტაპზე პროგრამაზე სწავლობს 48 პროფესიული სტუდენტი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

1. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 25 სექტემბრის N1-46 ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი;
2. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 27 მარტის N1-17 ბრძანება „უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საექთნო საქმე“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ;
3. დაწესებულების პარტნიორებთან გაფორმებული ხელშეკრულებები: შპს „ქ. თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 23.02.2023 წ.); შპს „ქ. რუსთავის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ (ხელშ. 23.02.2023 წ.); შპს „კლინიკა რუსთავი“(28.02.2023 წ. ხელშ.); შპს ,,ა(ა)იპ ჰოსპისი ფერიცვალება“ (ხელშ. 06.03.2023 წ.); შპს „ჯეო ჰოსპიტალი“ (ხელშ. 30.03.2023 წ); სს „რუსთავის ბავშვთა საავადმყოფო“ (ხელშ. 13.05.2024); სს „რუსთავის სამშობიარო სახლი“ (ხელშ. 06.06.2024); სს „რუსთავის ცენტრალური საავადმყოფო“ (07.06.2024);
4. დაწესებულების დირექტორის 2023 წლის 18 სექტემბრის N1-39 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცედურათა წესი/დებულება“;
5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამზე - „საექთნი საქმე“ მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზრვრული ოდენობის მიზანშეწონილობის დასაბუთება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა:

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის სასწავლო საქმიანობის საათობრივი განაწილების სალექციო ბადე;
8. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის განვითარების ღონისძიების ჩატარების მტკიცებულება;
9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსის ბიბლიოთეკაში არსებობის შემოწმების შედეგები;
10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საექთნი საქმე ბიუჯეტი;
11. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის დათვალიერების შედეგები;
12. კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კლინიკური სწავლების ობიექტების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

15.08.2024

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერა: _____